

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კულტურული მრავალფეროვნების როლი ინგლისური (როგორც უცხოური)
ენის სწავლების მეთოდის კუთხით

ნინო თვალჭრელიძე

სადოქტორო დისერტაციის

ავტორეფერატი

განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2014

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. დოქტ. ეკატერინე ფიფია

ექსპერტები:

პროფ. დოქტ. ნათელა დოლონაძე

პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილი

ოპონენტები:

პროფ. დოქტ. ზაალ კიკვიძე

ასოც. პროფ. დოქტ. ირმა ბარბაქაძე

შესავალი

ცნობილია, რომ ინგლისური ენის სწავლებამ მეორე/უცხო ენის რანგში დიდი მნიშვნელობა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ინგლისური ენა გახდა საერთაშორისო საკომუნიკაციო ენა და ამიტომ არსებობდა მისი შესწავლის მოთხოვნა სტუდენტებს, ლტოლვილებს, იმიგრანტებსა და მოვაჭრეებს შორის. სწავლების ახალი მეთოდის ძიებამ მოიტანა საკომუნიკაციო ენის სწავლება – ახალი ორიენტაცია, რომელიც ხაზს უსვამდა ავთენტური მასალის გამოყენებას და წარმოადგენდა ენაში გათვალისწინებულ კულტურაზე ორიენტირებულ ფენომენს.

სიტყვა 'კულტურის' გავრცელება ევროპულ ენებს შორის ნათელი შეიქნა მე-19 საუკუნის ბოლოს. მრავალი სხვა კონცეფციის მსგავსად, მკვლევარებმა საზოგადოების სხვადასხვა სფეროში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად შემოგვთავაზეს კულტურის მრავალი დეფინიცია, რაც მიზნად ისახავდა მსოფლიოს სხვადასხვა ასპექტების სისტემატიზაციას. დეფინიცია, რომელიც აყალიბებს და ახასიათებს მოცემული კვლევის ბუნებას, მდგომარეობს შემდეგში: **კულტურა არის იმ ადამიანთა კონცეფციების, დამოკიდებულებების, ღირებულებების, რწმენების, შეთანხმებების, პრაქტიკების, რიტუალების და ცხოვრების სტილის კომპლექსური სისტემა, რომლებიც ქმნიან კულტურულ ჯგუფს, აგრეთვე, მათ მიერ წარმოებული არტეფაქტები და შექმნილი ინსტიტუტები** (Liddicoat, Papademetre, Scarino and Kohler, 2003, p.45).

კულტურის გათვალისწინება ენის სწავლებისას დიდი ხანია ხორციელდება და ენასა და კულტურას შორის კავშირი დამტკიცებულია; 'კულტურაზე ორიენტირებული მსოფლმხედველობა აისახება ენაში' (Valdes, 2001, p.86). ეს ნიშნავს, რომ ადამიანები ფიქრობენ და საუბრობენ მათი კულტურის სპეციფიკიდან გამომდინარე. ბაირამი (Byram, 1989) დაკვირვების შედეგად ადგენს, რომ კულტურა წარმოადგენს მეორე ენის სწავლების „ფარულ“ სასწავლო პროგრამას და აღნიშნავს, რომ ენის სწავლება გულისხმობს კულტურაზე ორიენტირებულ სწავლებას, რადგან ენა მიუთითებს

მოსაუბრეთა მიერ მსოფლიოს შემეცნებასა და აღქმას, კულტურისა და კულტურული სწავლების კონცეფციებს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ნათელი გახდა, რომ წმინდა ენის სწავლება არ არის საკმარისი. მხოლოდ ინფორმაციის კოდირება არ უზრუნველყოფს კომუნიკაციისა თუ ინტერაქციის დამყარებას ადამიანთან. საკომუნიკაციო კომპეტენცია, რაც ინგლისური ენის შესწავლისას საკმაოდ კარგად აღიარებული მიზანია, განისაზღვრება როგორც ლინგვისტური და ქცევითი ერთობლივი კომპეტენცია. მოსაუბრის სრულყოფილი გაგება შესაძლებელია მხოლოდ ენის და იმ კულტურის ცოდნის შემთხვევაში, რომელსაც ეკუთვნის და რომლისგანაც ამავდროულად გამომდინარეობს ენა. ის ფაქტი, რომ კულტურის არცოდნა/ცოდნის სიმწირე ხელის შეშლელი ფაქტორია კომუნიკაციაში, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს უცხო ენის შემსწავლელთა და ამ ენის მატარებელთა შორის, რადგანაც სამიზნე კულტურის ცოდნა გადაამწყვეტ როლს თამაშობს მათ ურთიერთგაგებაში.

ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული ამ ენის სწავლება უადრესი მნიშვნელობისაა საკომუნიკაციო კომპეტენციის მოპოვებისთვის შესასწავლ ენაში. ეს კვლევის თემის აქტუალურ ხასიათს განაპირობებს.

დისერტაციის მიზანია გამოვიკვლიო შემდეგი:

1. ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების გავლენა ინგლისური ენის ათვისებაზე და სტუდენტების მოტივაციის გაზრდაზე.
2. როგორ აფასებენ და ახორციელებენ ინგლისური ენის მასწავლებლები საქართველოში ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებულ სწავლებას.
3. რამდენად მოქმედებს ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება სტუდენტების ტოლერანტობაზე სხვა კულტურების მიმართ და დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე.

4. რამდენადაა ასახული კულტურა საქართველოში პოპულარულ სახელმძღვანელოებში.

დისერტაციის პრობლემებია:

1. არის თუ არა კულტურაზე ორიენტირებული სწავლება ენის უნარების დაუფლების ეფექტური გზა?

2. არიან თუ არა ინგლისური ენის მასწავლებლები საქართველოში მზად კულტურაზე ორიენტირებული უცხო ენის სწავლების დასანერგად?

კვლევის ჰიპოთეზა აგებულია შემდეგ მოსაზრებებზე დაყრდნობით:

1. ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება ხელს შეუწყობს და გაუმარტივებს სტუდენტებს ინგლისურ ენაში საკომუნიკაციო კომპეტენციის დაუფლებასა და უზრუნველყოფს მაღალი მოტივაციის შენარჩუნებას მათთვის.

2. ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება გაზრდის სტუდენტების კულტურულ თვითცნობიერებას; უცხო და მშობლიური კულტურის განსხვავებებისა და მსგავსების გაგება დაეხმარება მათ დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში სამიზნე კულტურის წარმომადგენლების მიმართ და გაამყარებს ტოლერანტობას განსხვავებულ კულტურებთან მიმართებაში.

3. კულტურაზე ორიენტირებული უცხო ენის შესწავლის პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტების კულტურული ცნობიერების გაზრდას, აქტივობებში ჩართულობას, განავითარებს სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებას და ხელს შეუწყობს უცხო ენისა და კულტურის სერწყმულ სწავლებას.

4. ინგლისური ენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი კულტურასთან დაკავშირებული მდიდარი ლექსიკა, აქტივობები, სტრატეგიები და მეთოდები დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტების მიერ ლინგვოკულტურული კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე.

ზემოთ განხილული პრობლემების გადასაჭრელად გამოვიყენე კვლევის შემდეგი მეთოდები:

- თემასთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის განხილვა და ანალიზი
- კითხვარები
- კვაზი-ექსპერიმენტი
- დაკვირვება
- კვაზი-ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი

კვაზი-ექსპერიმენტის ფორმატს იმიტომ მივმართე, რომ, ადმინისტრაციული მიზეზების გამო, შეუძლებელი იყო, სტუდენტები გაგვენაწილებინა საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში შემთხვევითობის პრინციპზე დაყრდნობით. თუმცა, ასეთი ფორმატი ხშირად გამოიყენება განათლებაში ამავე მიზეზების გამო. ასეთი ექსპერიმენტის შედეგები საკმაოდ სანდოა იმ პირობით, რომ ყველა ცვლადი, დამოუკიდებელისა და დამოკიდებულის გარდა, იქნება გაკონტროლებული.

კვლევა ემპირიული და რაოდენობრივია, ასევე მოიცავს თვისობრივ კვლევას. ფოკუს-ჯგუფი ჩემი ექსპერიმენტისთვის და მასწავლებლები ჩემი კითხვარისთვის შერჩეულ იქნა ზემოთ მითითებული პრობლემის შესაბამისად.

სიახლე

მაშინ, როდესაც მთელს მსოფლიოში წარმოდგენილია მრავალი კვლევა კულტურის ენის სწავლებაში ჩართვის შესახებ, ქართულ კონტექსტში ჩატარებულ იქნა მხოლოდ მწირი სისტემატური კვლევა, განსაკუთრებით, რაც შეეხება ემპირიულ კვლევებს ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებულ ინგლისური ენის სწავლებასთან მიმართებაში. ამას გარდა, ეს პირველი კვლევაა, რომელიც ჩატარდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტთა კონტინგენტი კულტურულად სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჩემი

კვლევის ინოვაციურ ხასიათს. კვლევა ახლებურად ფოკუსირდება ინგლისური ენის მასწავლებლების მიერ საქართველოში ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებაზე.

თეორიული ღირებულება

კვლევის თეორიული საფუძვლებია:

- კულტურის სხვადასხვა მკვლევარებისა და ანთროპოლოგების მიერ წარმოდგენილი მონაპოვრები (Risager, 2006; Hoijer, 1953; Liddicoat, Papademetre, Scarino and Khler, 2003)
- ლინგვისტური ფარდობითობა (Whorf, 1956)
- საკომუნიკაციო კომპეტენტურობის კონცეფციის შემოტანა (Hymes, 1972) და მისი როგორც მნიშვნელოვანი მიზნის განხილვა ინგლისური ენის სწავლებისას
- კულტურული და ლინგვისტური წარმატების სხვადასხვა მოდელები: გარდნერისა და ლამბერტის მოტივაციის მოდელი (Gardner and Lambert, 1972) და შუმანის სოციალური დისტანციის რვა-განზომილებიანი მოდელი (Schumann, 1978)
- გამოჩენილი თეორეტიკოსის ედვარდ ჰოლის იდეები და თეორიები კულტურათაშორისი კომუნიკაციის დარგში (1966; 1976)
- კულტურაზე ორიენტირებული თეორია (Ladson-Billings, 1994) და მისი მახასიათებლები (Gay, 2010)
- ტრანსფორმაციული მიდგომა მულტიკულტურული კურიკულუმის შემუშავებისადმი (Bank & Banks, 1995)
- სხვადასხვა კრიტერიუმები სახელმძღვანელოს შეფასებისთვის (Risager, 1991; Cortazzi and Jin, 2011)
- ინგლისური ენის სწავლებისადმი მიდგომები და მეთოდები (Weswood, 2008; Harmer, 2006)
- კულტურის შეფასება ენის სწავლებისას (Valett, 2001)

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნათელი ხდება, რომ ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება უაღრესად მნიშვნელოვანია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი სტუდენტებისთვის აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით. კვლევა იხილავს მრავალ შესაძლო გზას, სტრატეგიასა და ტექნიკას ენის სწავლებაში კულტურის ჩასართავად. ჩემს მიერ მომზადებული ინგლისური ენის სილაბუსი აერთიანებს ენისა და კულტურის ელემენტებს და შესაძლოა გამოყენებულ იქნეს და განვითარდეს ინგლისური ენის მასწავლებლების მიერ. ჩემს მიერ შემუშავებული კულტურის ცოდნის ტესტი პრაქტიკული მნიშვნელობის იქნება ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის სტუდენტების წარმატების შეფასებისას. უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული კულტურაზე ორიენტირებული ენის სწავლების აქტივობების უმეტესობა შესაძლოა გამოყენებულ იქნას საკლასო პრაქტიკაში.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალი, 3 თავი, დასკვნა, რეკომენდაცია და 6 დანართი. მასში მოტანილია 13 ცხრილი და 35 დიაგრამა.

დისერტაციის შინაარსის მოკლე მიმოხილვა

ნაშრომის პირველი თავი არის ინგლისური ენის კულტურასთან შერწყმული სწავლების მეთოდების ლიტერატურის მიმოხილვა. მასში განხილულია კულტურის კონცეფციის სხვადასხვა ავტორისა და მკვლევარის მიერ წარმოდგენილი განსხვავებული დეფინიციები. მოცემული თავი ფოკუსირდება დამოკიდებულებაზე ენასა და კულტურას შორის და ამტკიცებს, რომ ენა და კულტურა განუყოფელია და ერთობლიობაში უნდა გაანალიზდეს. კვლევა განიხილავს კულტურული ელემენტების გათვალისწინების დაწყებასა და შემუშავებას ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიაში. დღესდღეობით ენის სწავლების კონცეფციის გაგება იმთავითვე გულისხმობს კულტურაზე სწავლებასაც, რადგან ენა მიუთითებს მოსაუბრეთა მიერ მსოფლიოს

შემეცნებასა და აღქმაზე (Byram, 1989). პირველ თავში განხილულია კულტურაზე ორიენტირებული ენის სწავლების წარმოშობა და წარმოდგენილია სხვადასხვა თეორია კულტურაზე ორიენტირებული ენის სწავლების შესახებ.

ცხრილი 1. კულტურის კომპონენტები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ინგლისური ენის სწავლების პროცესში

თეორიები, რომლებიც მოიცავს კულტურის კომპონენტებს	გამოყენება კლასში
კინესიკა (არავერბალური კომუნიკაცია)	ჟესტების ინტერპრეტაცია
ფარული განზომილებები (რწმენა, დამოკიდებულება, ღირებულებები, ვარაუდები)	ქცევის ინტერპრეტაცია სამიზნე კულტურაში; ქცევის ინტერპრეტაცია მშობლიურ კულტურაში; რეაქციების წინასწარ განსაზღვრა
სიმრავლეების თეორია: 1. კულტურის გარეგნული ნაწილი (საკვები, ისტორიული შენობები, ისტორიული პირები); 2. კულტურის უხილავი ნაწილი (მსოფლმხედველობა, ხმის ტემბრი, ტონი, განსახილველი თემები სხვადასხვა საკითხზე)	ცნობიერების გაფართოება სამიზნე კულტურის ყველა ასპექტით; სამიზნე კულტურის გეოგრაფიული პარამეტრების წარმოდგენა; სამიზნე კულტურის მახასიათებლების წარმოდგენა; გარეგნული კულტურული განსხვავებების ჩამოთვლა; განსახილველ თემებზე ფოკუსირება სამიზნე და მშობლიურ კულტურებში; ენის დონეები (მეგობრის და მეგობრის ოჯახის მისაღება)
ქრონემიკა (დროის გამოყენება და გაგება)	ეტიკეტის სხვადასხვა მოდელის

	წარმოდგენა; ქცევის კოდის ინტერპრეტირება
პროექსემიკა (ადგილის გამოყენება)	ეტიკეტის სხვადასხვა მოდელის წარმოდგენა; ქცევის კოდის ინტერპრეტირება

წინამდებარე თავი იხილავს კულტურათაშორის კომუნიკაციას, კულტურის ფარულ განზომილებებს, კულტურაზე ორიენტირებულ სწავლებასა და მის მახასიათებლებს.

ცხრილი 2. კრიტიკული თეორია

თეორია	კულტურაზე ორიენტირებული პედაგოგიკა (სწავლება შესაძლოა განსხვავდებოდეს კულტურების მიხედვით. მასწავლებლებმა შესაძლოა გაზარდონ სტუდენტების წარმატება მათი კულტურული ფონის შესახებ ცოდნის მოპოვებით და ამ ცოდნის გადაყვანით საგანმანათლებლო პრაქტიკაში. ეს კრიტიკულად და მიზნობრივად ცვლის ტრადიციული სწავლების სტატუს კვოს).		
მხარდაჭერა	კულტურაზე ორიენტირებული მზრუნველობა	მასწავლებლის ძირითადი დამოკიდებულებები და მოლოდინები	მოდრაობა კულტურაზე ორიენტირებული მზრუნველობისკენ
გამოყენება საკლასო ოთახში	მასწავლებლები, რომლებიც ახორციელებენ თვით-გააზრებას, თვით-გაცნობიერებასა და თვით-განახლებას, თავიანთი შეხედულებების დეკონსტრუქციასა და რეკონსტრუქციას, მიიღებენ ცოდნას, გამოიმუშავენ უნარებს, ჩამოუყალიბებთ მოლოდინები და ეთიკა, რაც გარდაუვალია კულტურულად პასუხისმგებელი სწავლებისთვის და ახდენს მზრუნველობის 'მალის' დემონსტრირებას. ასეთი მასწავლებლების ყველა სტუდენტი ვალდებულია აჩვენოს მაღალი		

	აკადემიური მოსწრება. მზრუნველობა, პედაგოგიურ კომპეტენციასთან ერთად, გამოიწვევს მაღალ აკადემიურ მოსწრებას კულტურულად მრავალფეროვან სტუდენტებში.
შედეგი	წარმატება სხვადასხვა კულტურული 'ფონის' მქონე სტუდენტებისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა ხაზს უსვამს კულტურაზე ორიენტირებული ინგლისური ენის სწავლების მნიშვნელობას ინგლისურ ენაში საკომუნიკაციო კომპეტენციის დაუფლების თვალსაზრისით.

მეორე თავი წარმოადგენს კულტურაზე ორიენტირებული ინგლისური ენის სწავლების სხვადასხვა კომპონენტების მიმოხილვას. ის იკვლევს მრავალკულტურული სწავლების კურიკულუმის და მისი შინაარსის შემუშავებას, როგორცაა: სახელმძღვანელოები, სტანდარტები, ლიტერატურა, მხატვრული და სხვა წიგნები და მასმედია. მოცემული თავი განიხილავს სხვადასხვა ავტორების მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმებს და ასახავს ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიას. მოცემული თავი ახდენს კულტურასთან დაკავშირებული თემების ილუსტრირებას აუდიტორიაში განსახილველად და წარმოადგენს ტექნიკებსა და აქტივობებს კულტურაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პრაქტიკისთვის. მეორე თავი აგრეთვე იზიარებს კულტურაზე ორიენტირებული ინგლისური ენის სწავლების არსებულ გამოცდილებას.

მეორე თავში აგრეთვე აღწერილია დისერტანტის მიერ ჩატარებული **ორი კვლევა**: 1. შავი ზღის საერთაშორისო უნივერსიტეტის განმანათლებლისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებების ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო პროგრამის ინგლისურ ფილოლოგიაში კურიკულუმის შეფასება მულტიკულტურული კუთხით და მისი გავლენა სტუდენტების დამოკიდებულებებზე. 2. ორი საქართველოში ძალიან

პოპულარული სახელმძღვანელოს შეფასება ენისა და კულტურის ერთობლივი სწავლების შესაზღვებლობის კუთხით.

კურიკულუმის შეფასების შედეგად გაირკვა შემდეგი:

- რესპონდენტების უმრავლესობამ (64%) კურიკულუმს უმაღლესი შეფასება მისცა, რაც ნიშნავს იმას, რომ კულტურაზე ორიენტირებული ფილოლოგიის პროგრამები აკმაყოფილებს სტუდენტების მოთხოვნებს.
- სტუდენტების ნახევარზე მეტი (60%) მიიჩნევს, რომ სხვადასხვა კურსის წარმოდგენა მათ სასწავლო პროგრამაში აუმჯობესებს მათ კულტურულ გაგებას, რაც უპირატესობას ანიჭებს მათ კულტურათაშორის კომუნიკაციებში.
- მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მრავალკულტურული სასწავლო პროგრამის შედეგად მიღებული სარგებლის თაობაზე გამართულ დისკუსიებში სტუდენტების 60% მიიჩნევს, რომ სტუდენტების უმრავლესობაც და უმცირესობაც მიიღებს თანაბარ სარგებელს, ამასთან, სტუდენტების 10 % მიიჩნევს, რომ უმცირესობის ჯგუფების სარგებელი ბევრად აღემატება უმრავლესობის ჯგუფების სარგებელს. მოსალოდნელია, რომ მრავალკულტურული თემების მიმოხილვაზე ხშირი დასწრება ყველა ჯგუფი იღებს ერთნაირ სარგებელს მოიტანს.
- აგრეთვე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მონაწილეთა ნახევარზე მეტი (68% და 66% შესაბამისად) მიიჩნევს, რომ მათი მოტივაცია გაუმჯობესდა და მათი დამოკიდებულებანი და გრძნობები შეიცვალა სტუდენტების მიმართ, რომელთაც აქვთ განსხვავებული კულტურული წარმომავლობა. ეს ცვლილება ერთმნიშვნელოვნად მოუტანს მათ სარგებელს კულტურათაშორის ურთიერთობებში.

სახელმძღვანელოების კვლევას შემდეგ დასკვნამდე მივყავართ:

- ორივე საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული სახელმძღვანელო - *Total English* და *New Snapshot* - გამიზნულია საერთაშორისო სამიზნე კულტურაზე, ისე, რომ მოიცავს კულტურული საკითხების მრავალსახეობას ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში, აგრეთვე სხვა ქვეყნებში ცხოვრებასთან დაკავშირებით, სადაც ინგლისური არ არის პირველი ან მეორე ენა, მაგრამ გამოიყენება საერთაშორისო ენად. გარდა ამისა, მაშინ როდესაც სახელმძღვანელოები აჩვენებენ სამიზნე და საერთაშორისო კულტურების ჩართვის სხვადასხვა დონეებს, კულტურის სწავლება და კულტურათაშორისი უნარების შემუშავება, სახელმძღვანელოების რეფლექტური გამოყენების პოპულარიზაცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენება ეს სახელმძღვანელოები აუდიტორიაში, სტუდენტებს შორის ინტერაქციის ხარისხზე, ტექსტებსა და მასწავლებლებზე და კულტურული ასპექტების სწავლების მეთოდოლოგიაზე.
- როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილული სახელმძღვანელოები მოიცავს მდიდარ კულტურულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს საკმარის ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების ისეთ ელემენტებს, როგორცაა კულტურის-სპეციფიკური ლექსიკა, ახსნა-განმარტებები და მათიშესწავლისათვის საჭირო აქტივობები. სახელმძღვანელოები ამ როლს მასწავლებლებს უთმობენ, რაც ზოგჯერ შესაძლოა რთული აღმოჩნდეს მასწავლებლებისთვის. ასეთი აქტივობების განსახორციელების მინდობა მხოლოდ მასწავლებელთა კეთილი ნებისთვის არ არის სწორი გზა ენისა და კულტურის შერწყმული სწავლების პრობლემის გადასაწყვეტად.

მესამე თავი ეძღვნება უცხო ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების მათ აკადემიურ წარმატებაზე გავლენის კვლევას. კვლევის ერთ-ერთი მიზანია კულტურაზე ორიენტირებული სწავლების შედეგების წარმოდგენა სტუდენტების მიერ სამიზნე კულტურის გაგების თვალსაზრისით, მათ მიერ კულტურებში განსხვავებების

გაცნობიერების გათვალისწინებით, ეტიკეტის წესების ფლობასა და განსხვავებული კულტურული ღირებულებების გაგება. წინამდებარე თავი აგრეთვე განიხილავს ინგლისური ენის სწავლების საკითხებს სამიზნე კულტურაზე ფოკუსირებით და სტუდენტების საკუთარი კულტურისა და მთავარ ძალაზე - ინგლისური ენის მასწავლებლებზე - ორიენტირებით, კულტურაზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების მიზნით. წინამდებარე თავი წარმოადგენს **სამი კვლევის** შედეგებს:

1. კვლევა 1- კვაზი-ექსპერიმენტი; კვლევა განსაზღვრავს ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების გავლენას სტუდენტების მიერ ინგლისური ენის შეთვისებაზე.

2. კვლევა 2 - კულტურის ტესტი; კვლევა აჩვენებს სამიზნე კულტურის შესახებ ცოდნის შეთვისების პროცესს აუდიტორიაში და მიუთითებს კულტურის შესახებ ცოდნის დონის ზრდაზე მთლიანად კურსის განმავლობაში.

3. კვლევა 3 - მასწავლებლის დამოკიდებულების კვლევა; კვლევა აჩვენებს, თუ როგორ განიხილავენ ქართველი მასწავლებლები ინგლისური ენის სწავლების მთავარ მიზანს და სასწავლო პროცესს, როგორ აფასებენ კულტურაზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობას ენის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების და რა ტექნიკას იყენებენ ისინი შესაბამისი მიზნების მისაღწევად.

პირველი კვლევა - კვაზი-ექსპერიმენტი ჩატარდა ბიზნეს-მენეჯმენტის ფაკულტეტის პირველკურსელ სტუდენტებზე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, რომელიც ამტკიცებს ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების მაღალ ეფექტურობას, ამასთან, აჩვენებს განსხვავებას კულტურაზე ორიენტირებულ და ტრადიციულ სწავლებას შორის. კულტურაზე ორიენტირებული ენის სწავლების მნიშვნელობა ყველაზე კარგად ჩანს ინტერაქციის დროს ინგლისურ როგორც არამსობლიურ ენაზე მოლაპარაკებებსა და ამ ენის მატარებლებს შორის.

ექსპერიმენტის მიზანი იყო ინგლისური ენის კულტურაზე ფოკუსირებული სწავლების ეფექტურობის შეფასება საკომუნიკაციო კომპეტენციისა და ინგლისური ენის სწავლის უკეთესი შედეგების მიღწევის თვალსაზრისით.

საკონტროლო ჯგუფში გამოიყენებოდა სილაბუსი, რომელიც მთლიანად ეყრდნობოდა სახელმძღვანელოს, მასში იგივე რაოდენობის საათები ეთმობოდა ინგლისური ენის სწავლებას, რაც ექსპერიმენტულ ჯგუფში. ექსპერიმენტის მიზნით შევადგინე სილაბუსი, რომლის მიხედვით სწავლებასაც ვახორციელებდი ექსპერიმენტულ ჯგუფში. განსხვავება ორ სილაბუსს შორის გამოიხატებოდა იმასი, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის სილაბუსში სწავლების ლინგვისტურ და კულტურულ მიზნებს თანაბარი ადგილი ეთმობოდა. მასში იყო გატვალისწინებული შეკითხვები რეფლექსიისათვის, არავერბალური კომუნიკაციის ელემენტები, სპეციალურად შემუშავებული აქტივობების მრავალფეროვნებანიტერკულტურული კომუნიკაციისათვის ხელის შეწყობის მიზნით. დრო ამისათვის იყო 'მოგებული' სახელმძღვანელოს ნაკლებად სასარგებლო მასალების გამოტოვებით. სილაბუსი წარმოდგენილია მე-3 დანართში. მე აგრეთვე ჩავატარე ვიდეო დაკვირვება სტუდენტების მოტივაციის გამოსავლებად ექსპერიმენტის ფარგლებში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიებში და აქტივობებში დიდი სიამოვნებითა და ენთუზიაზმით.


რამდენადაც სახელმძღვანელოს აკლდა სამიზნე და საერთაშორისო კულტურებზე ორიენტირებული ენის სწავლების გარკვეული აქტივობები, შევადგინე 11 აქტივობა ექსპერიმენტული ჯგუფისთვის. აქტივობების ბუნებიდან გამომდინარე, ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა ექსპერიმენტულ ჯგუფში ენის შემსწავლელთა ინტერაქციის გაზრდას და მაღალი მოტივაციის შენარჩუნებას. ეს აქტივობები ზრდის სტუდენტების უნარებს საკუთარი და სამიზნე კულტურების შედარებითი ანალიზისთვის, საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნების მოთხოვნის დაცვით. ვიმედოვნებ, მოცემული

აქტივობები სასარგებლო იქნება ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის ენის მეცადინეობებზე.

ექსპერიმენტმა დაადასტურა ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების დადებითი გავლენა სტუდენტების მიერ ინგლისურ ენაზე საკომუნიკაციო კომპეტენციის მიღწევისას. ყველა (24) სტუდენტმა ექსპერიმენტულ ჯგუფში წარმატებას მიაღწია ენის უნარების განვითარებაში.

ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს ორივე ჯგუფში საშუალო არითმეტიკულსა და მედიანას ცვლილებას ექსპერიმენტის განმავლობაში.

დიაგრამა 1. საშუალო არითმეტიკულსა და მედიანას შედარება ექსპერიმენტის დროს



აღსანიშნავია, რომ მედიანა ორივე ჯგუფისთვის იზრდება, თუმცა საკონტროლო ჯგუფისთვის შედარებით ექსპერიმენტალურ ჯგუფთან ზრდა მნიშვნელოვნად არასტაბილური და მცირეა. რაც შეეხება საშუალო არითმეტიკულს, როცა ექსპერიმენტალური ჯგუფი აჟღავნებს არსებით ზრდას, მაშინ საკონტროლო ჯგუფი

ავლენს კლებასა და არამდგრად მონაცემებს (65.5 → 60.3 → 64.19). ზემოთ წარმოდგენილი განხილვიდან ნათელია, რომ ექსპერიმენტალური ჯგუფის წარმატება მტკიცეა.

ამგვარად, ექსპერიმენტმა დაამტკიცა ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული ენის სწავლების ეფექტურობა სტუდენტების მიერ ინგლისურ ენაზე საკომუნიკაციო კომპეტენციის მიღწევისას.

მეორე კვლევის მიზნები ორ საკითხს ეხება:

(1) გამოავლინოს კულტურაზე ორიენტირებული ენის სწავლების, თანამშრომლობის მეთოდების გამოყენების შედეგად სტუდენტების კულტურული ცნობიერების, ცოდნის გაზრდა, მათი დამოკიდებულებების შეცვლა სამიზნე კულტურის წარმომადგენლების მიმართ და მათთვის დახმარების აღმოჩენა საკომუნიკაციო კომპეტენციის დაუფლებისას.

(2) კულტურული ტესტის ჩატარებასა და სტუდენტების მიერ კულტურული მიზნების მიღწევას.

ეს კვლევა ამტკიცებს, რომ ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული ენის სწავლება ეფექტურია სამიზნე კულტურის შესწავლისას. სტუდენტებმა მიაღწიეს მათ კულტურულ მიზნებს, კერძოდ, კვლევაში წარმოდგენილ რამდენიმე მაგალითს განვიხილავ:

- სტუდენტების დამოკიდებულება სამიზნე კულტურის წარმომადგენლების მიმართ პოზიტიურად შეიცვალა, რასაც ადასტურებს მათ მიერ სამიზნე კულტურის წარმომადგენლების ქცევის სწორი ინტერპრეტირება.
- კვლევამ აჩვენა უცხო და მშობლიური კულტურების განსხვავებების გაგების გაზრდა, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს ინგლისურენოვანი ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებთან ინტერაქციის დამყარებისას; სტუდენტებმა ისწავლეს სამიზნე კულტურის წარმომადგენლების წვლილის დაფასება, საკუთარი და

სამიზნე კულტურების ღირებულებებში, ქცევაში, ეტიკეტში, დამოკიდებულებებში განსხვავებებზე დაკვირვება.

- რაც შეეხება კვლევის მეორე საკითხს, კულტურის ტესტის ჩატარებასა და სტუდენტების მიერ კულტურასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევს, აქაც წარმატება იქნა მიღწეული. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმა საგრძნობლად გაიღრმავეს კულტურის საკითხების გაგება.

შესამე კვლევა ავლენს, თუ როგორ აფასებენ და ახორციელებენ ინგლისური ენის მასწავლებლები საქართველოში ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებულ სწავლებას. ასი ქალაქადზე ამოებქდილი ანკეტა (ღია ქითვითა და პასუხის არჩევით) დაურიგდა ლექტორებს. გარდა ამისა, იგივე ანკეტის სევსება შესაზლო იყო ონლაინ რეჟიმში. სულ მიღებულ იქნა 82 შევსებული ანკეტა. მისი შინაარსის გასაცნობად შეგიძლიათ გამოიყენიოთ შემდეგი მისამართი: <https://www.surveymonkey.com/s/B997S8S>

ამ კვლევამ აჩვენა, რომ ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება საქართველოში არ არის ფართოდ დანერგილი მასწავლებლების ყოველდღიურ პრაქტიკაში. სხვადასხვა მიზეზით მასწავლებლები (გამოკითხულთა თითქმის ნავევარი) ერიდებიან ინგლისური ენის სწავლებას კულტურაზე ორიენტირებული ასპექტებით. რაც შეეხება ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების განუხორციელებლობის მიზეზებს, როგორც ჩანს, მრავალ მასწავლებელს არც კი უფიქრია ამაზე. ამიტომ, თუ კულტურის გაცნობიერება და მისი მნიშვნელობის გაგება ენის სწავლების დროს შენარჩუნებულია მაღალ დონეზე მასწავლებლებისთვის, ისინი გამოძებნიან დროს და ენერგიას თავიანთ განსაკუთრებით დატვირთულ გრაფიკებში იმისათვის, რომ პრაქტიკაში დანერგონ ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა მასწავლებელს, რომლებმაც გაგვიზიარეს მათი გამოცდილება ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებულ სწავლებაში (31 მასწავლებლიდან, რომლებიც პრაქტიკაში იყენებდნენ ინგლისური ენის კულტურაზე

ორიენტირებულ სწავლებას, 17 მასწავლებელმა დაწერა კომენტარები), მიღებული ჰქონდათ სასიამოვნო გამოცდილება და ისინი დარწმუნდნენ, თუ რამდენად ზრდიდა ეს მიდგომა სტუდენტების მოტივაციას და რამდენად სასარგებლო იყო ის. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რესპონდენტების ნახევარზე მეტი (62.2%) მიიჩნევს, რომ კულტურაზე ორიენტირებული სწავლება მნიშვნელოვანია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მეტი ძალისხმევის გამოჩენა ყოველდღიურ საგანმანათლებლო პრაქტიკაში, რაც შესაძლოა შთაბეჭდილების წყარო გახდეს მათი კოლეგებისთვის.

დასკვნები

მიღებულ იქნა კვლევის შემდეგი შედეგები:

1. ინგლისური ენის საკომუნიკაციო კომპეტენციის ამაღლება განიხილება ინგლისური ენის პროგრამების მთავარ მიზნად. საკომუნიკაციო კომპეტენცია, რომელიც განისაზღვრება, როგორც ენობრივი დახელოვნება ინგლისურ ენაში პლიუს ინგლისურენოვანი ადამიანების დამახასიათებელი ქცევის კვლევა და შეფასება ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. მხოლოდ ჟღერადობის, ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნა, ინგლისურად კითხვა და საუბარი არ უზრუნველყოფს კომუნიკაციას. გადამწყვეტი ფაქტორი გაგებისას დაკავშირებულია ენის კულტურული ასპექტების გაგებასთან, რაც ლექსიკის ელემენტებს სცდება. 21-ე საუკუნის ენის მეცადინეობა მრავალფეროვან აუდიტორიაში ფოკუსირდება კულტურათაშორისი კომუნიკაციების აუცილებლობაზე კულტურებს შორის ურთიერთგაგების მხარდაჭერის მიზნით.
2. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურაზე ორიენტირებული ენის სწავლების შედეგები უფრო კარგად აისახება უცხო ენის შემსწავლელთა და ენის მატარებლებს შორის ურთიერთობების შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ საკომუნიკაციო კომპეტენციის მნიშვნელობა ინგლისურ ენაში საკომუნიკაციო მოდელის სახით, რომელიც გამოიყენება უცხო ენის შემსწავლელთა შორის, არ არის იმდენად

გამოხატული უცხო ენის შემსწავლელთა შორის კომუნიკაციის შემთხვევაში, როგორც უცხო ენის შემსწავლელთა და ენის მატარებელთა კომუნიკაციის დროს. ეს შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც ენისა და კულტურის განუყოფლობის უშუალო შედეგი, რისი გაუთვალისწინებლობამაც შეიძლება ხელი შეუშალოს კროს-კულტურულ გაგებას.

3. ლიტერატურის მიმოხილვა მოცემულ კვლევაში ერთმნიშვნელოვნად აკავშირებს ენასა და კულტურას. ფაქტობრივი კულტურული რეალობა არა მხოლოდ აისახება ენაში, არამედ ენა არის ამ რეალობის განუყოფელი ნაწილი და ობიექტური კულტურული რეალობის ენის სხვა კომპონენტების დახმარებით ხდება მისი ინტერპრეტაცია და ჩამოყალიბება. ენის ცოდნა ნიშნავს იმას, რომ მოსაუბრეები ახორციელებენ სოციალურ-კულტურულ ფენომენს. ენის სწავლება კულტურის გარეშე უტოლდება სოციალურ-კულტურული ფენომენის უფულვებელყოფას და სტუდენტების შეზღუდვას ენის საკომუნიკაციო კომპეტენციის დაუფლების საქმეში.
4. კულტურის ჩართვა ენის კურიკულუმში მოითხოვს უნივერსიტეტის სხვადასხვა დონის აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას მის შედგენაში. უნივერსიტეტის დონეზე, ფაკულტეტის როლი გადამწყვეტია კურიკულუმის ტენდენციების გადაწყვეტის თვალსაზრისით. სასწავლო პროგრამის განვითარების კომიტეტმა უნდა განსაზღვროს, თუ რა ცოდნა და რა ღირებულებები დაგეგმილია სტუდენტებისთვის მიწოდების მიზნით და რომელი მეთოდები უნდა იქნეს შესაბამისადად აპტირებული. სხვადასხვა პერსპექტივის ჩართვა საგანმანათლებლო სისტემაში გაზრდის სტუდენტების მიერ დღევანდელი კომპლექსური საზოგადოების გაგებას და მრავალფეროვანი ერთიანობის შექმნას, სტანდარტზე-დაფუძნებული სასწავლო პროგრამის გარდაქმნას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად. კულტურაზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამა მხარს უჭერს სტუდენტების კულტურული შეგნების (96%),

მოტივაციის და სასწავლო პროცესში ჩართულობის (68%) ზრდას, ამყარებს რა განსხვავებული ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებებს (80%).

5. კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება ხელს უწყობს და ზრდის ინგლისურ ენაზე საკომუნიკაციო კომპეტენციის დაუფლებას. ჩემს მიერ ორგანიზებული კულტურის ელემენტებით დატვირთული ენის შემსწავლელი აქტივობები კულტურის მიზნების განხილვისას ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სტუდენტებისთვის უკვე ეფექტურად მიჩნეული ლინგვისტური მიზნები, რაც გამოიხატება მათ აკადემიურ მოსწრებაში. ჩატარებული ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ სტუდენტების აკადემიური მოსწრების დონე ექსპერიმენტულ ჯგუფში (საშუალო არითმეტიკული: 80.4 → 82.8 → 90.54; მედიანა: 77 → 79.5 → 85) საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (საშუალო არითმეტიკული: 65.5 → 60.3 → 64.19; მედიანა: 59.5 → 55.5 → 65.0) უფრო სწრაფად მატულობს. ამგვარად, ექსპერიმენტი ამტკიცებს ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლების ეფექტურობას. ამას გარდა, კულტურის შესახებ ინფორმაცია შესაძლოა აგრეთვე განხილულ იქნეს პედაგოგიურ იარაღად სტუდენტების ინტერესების დაფიქსირებისა და გათვალისწინებისთვის და ამგვარად მათი მაღალი მოტივაციის შენარჩუნების მიზნით. ვიდეო დაკვირვებიდან ჩანს და მასწავლებელთა გამოცდილებაც ადასტურებს, რომ ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება უზრუნველყოფს სტუდენტთან ძლიერ მოტივაციას და ჩართულობას.

6. კულტურათაშორისი მიდგომის გატარება ინგლისური ენის სწავლებისას მოითხოვს არა მხოლოდ კურიკულუმებისა და სილაბუსების ჩამოყალიბებას და მასალების შეცვლას, არამედ მასწავლებლის ცნობიერებისა და განათლების შეცვლას, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ინგლისური ენის თანამედროვე მასწავლებელს ესაჭიროება საგანმანათლებლო და კულტურული ცოდნა იმისათვის, რომ განსაზღვროს მასალის პრეზენტაციისთვის

გამოსაყენებელი მეთოდები და ტექნიკა, ხაზგასასმელი კონცეფციები და ღირებულებები ტენდენციურობის და შოვინიზმის თავიდან აცილებისთვის, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტების დღევანდელი კულტურულად მრავალფეროვანი პოპულაციის კომპეტენტურად მართვა. ინგლისური ენის გამოცდილი და კომპეტენტური მასწავლებელი, სტუდენტებისთვის ბრიტანული და ამერიკული კულტურული ასპექტების წარდგენის დროს, ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნებას. მასწავლებლებმა უნდა წარმართონ დისკუსია კულტურის შესახებ არაგანსჯადი მანერით. ამასთან, კულტურაზე ორიენტირებულ მასწავლებლებს ესაჭიროებათ უფრო მრავალმხრივი და კომპლექსური განათლება. ტრენინგ-პროგრამები ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის უნდა უზრუნველყოფდნენ მომავალი მასწავლებლებისთვის ასეთ განატლებას.

7. კულტურის ტესტის შედეგების შესწავლამ ჩემს კვლევაში გამოავლინა, რომ კულტურული შოკის (ანუ როდესაც ადამიანი გარკვეულ სიტუაციაში რაღაც ქცევას მოელოდა და მის ნაცვლად სულ სხვა ქცევას იღებს) თავიდან აცილების მიზნით კულტურაზე ორიენტირებული სწავლება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა. საგანგებოდ ორგანიზებული კულტურაზე ორიენტირებული აქტივობები და შესაბამისი სასწავლო ინსტრუქციები აუდიტორიაში აუმჯობესებს ურთიერთობებს, ამადლებს ჩვეულებათა, ყოველდღიური აქტივობების გაგებას სამიზნე კულტურაში (88.9%), ხალხის ღირებულებების (61.1%), აზროვნების და ეტიკეტის გაცნობიერებას. ინგლისური ენის კულტურაზე ორიენტირებული სწავლება სტუდენტების კულტურული ცნობიერების გაზრდას უწყობს ხელს, აყალიბებს ტოლერანტობას სხვა კულტურების მიმართ, იწვევს კულტურული ღირებულებების, გარეგნული კულტურული განსხვავებებისა და მსგავსებების უკეთ გათავისებას.
8. კულტურის ასახვა ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომ სახელმძღვანელოებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ლექციების

კულტურასთან დაკავშირებული შინაარსი და მიმართულება სახელმძღვანელოების ძლიერ გავლენას განიცდის. თანამედროვე სახელმძღვანელოები ხშირად მოიცავს სამიზნე და საერთაშორისო კულტურას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი პრობლემის გადასაჭრელად. კულტურასთან დაკავშირებული თემები უნდა განიხილებოდეს შესაბამისი სათანადო ენის შემსწავლელი აქტივობის კრილში და კულტურასთან დაკავშირებული საკითხებით დატვირთული მდიდარი ლექსიკონითა და გრამატიკით. სასწავლო პროგრამა უნდა იქნეს სათანადოდ დაგეგმილი სტრატეგიებითა და მეთოდებით კულტურაზე ორიენტირებული სწავლებისთვის. კულტურაზე დაფუძნებული ენობრივი კურიკულუმი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტების მიერ კულტურის გაცნობიერებას, სწავლის მოტივაციასა და სასწავლო პროცესში ჩართვას, აუმჯობესებს ურთიერთობებს კულტურულად მრავალფეროვან ჯგუფში.

რეკომენდაციები

- ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით, რეკომენდაციას ვაძლევ ინგლისური ენის მასწავლებლებს საქართველოში ორიენტაცია აიღონ კულტურაზე მათ საგანმანათლებლო პრაქტიკაში ინგლისური ენის სწავლების მიზნების მიღწევისთვის სტუდენტების მიერ.
- სასურველია, რომ უნივერსიტეტებმა, სადაც ისწავლება ინგლისური ფილოლოგიის პროგრამები, ხელახლა შეისწავლონ ინგლისური ენის მომზადების პროგრამები, კულტურული მიდგომის დამატების თვალსაზრისით. ინგლისური ენის მასწავლებლებს მოეთხოვებათ სათანადო ფონური ცოდნის ქონა კულტურულ ანთროპოლოგიასა და კულტურულ რელატივიზმში, ასევე უნარი, განახორციელონ კულტურათშორისი შედარებითი ანალიზი.
- სასურველია, რომ ინგლისური ენის მასწავლებლებმა გაიარონ სათანადო მომზადება, გამოიწერონ ჟურნალები და მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში, რომლებიც ფოკუსირდება სამიზნე და საერთაშორისო კულტურაზე იდა ხელს

უწყობს ინგლისური ენისა და კულტურის შერწყმულ სწავლებას 21-ე საუკუნის მრავალფეროვან სტუდენტურ გარემოში.

დისერტაციის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ **პუბლიკაციებში**:

1. Tvalchrelidze, N. (2013). Gender and Culture Differences in Today's Classrooms, *Journal of Education, Scientific Journal of International Black Sea University*, Vol. 2, No 1, 69-71.
2. Tvalchrelidze, N. (2012). Curriculum Development in Multicultural Education. *Journal of Education, Scientific Journal of International Black Sea University*, Vol. 1, No 2, 95-98.
3. Tvalchrelidze, N. (2012). Is Multicultural Education Yet Another Goal for Teachers? *INTELECTI, International Scientific Journal*, 3(44), 46-48.
4. Tvalchrelidze, N. (2013). Cultural Issues Addressed in Classroom Management. The Third International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literature in English. IBSU. April 19-20, Tbilisi, 496-502.
5. Tvalchrelidze, N. (2012). Cultural Issues in EFL/ESL Textbooks. The Second International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literature in English. IBSU. April 27-28, Tbilisi, 221-226.